

ლაზური მუსიკის ქართული ფესვები

გიორგი კრავეიშვილი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია გრიბოედოვის 8

ანოტაცია:

საქართველოში ლაზების, „ქართველობა“ ექვემდებარება არ დგას, მაგრამ თურქეთში ეს საკითხი სხვანაირადაა დასმული. იქაური ლაზების უმეტესობას თავი თურქი ან მხოლოდ ლაზი ჰგონია. მართალია ლაზურმა სიმღერამ, თურქული მუსიკალური კულტურის ზეგავლენის შედეგად მრავალხმიანობა დაკარგა, მაგრამ გუდასტვირზე შეინარჩუნა. მას თურქულად თულუმს, ლაზურად კი გუდას უწოდებენ. მრავალხმიანია ქამანჩაც, თუმცა მასზე აჟღერებულ ჰანგებს კვარტების პარალელიზმი ახასიათებს, რაც ჩვენი მუსიკისთვის დამახასიათებელი არ არის. გუდასტვირზე კი მიუხედავად თურქული მუსიკალური კულტურის დიდი გავლენისა ქართული მრავალხმიანობა დღემდე შემორჩენილია. განხილულია პონტოელი ბერძნებისა და ხემშინების წარმომავლობაც. პონტოელები 15-ე საუკუნეში გაბერძნებული ქრისტიანი ლაზები არიან, ხემშინები კი 16-ე საუკუნეში ლაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებული სომხები, რომლებმაც მუსლიმანობა მიიღეს. პონტოს ბერძნულმა გუდასტვირმა „ცაბოუნამ“ შეინარჩუნა თვლების ქართული გუდასტვირისთვის დამახასიათებელი რაოდენობა (1/5 ან 3/5), მაშინ, როდესაც ლაზურზე თვლების დატოლება მოხდა (5/5), რის შედეგადაც შესრულებულ ჰანგებში გაიზარდა ერთხმიანობის ხვედრითი წილი. ლაზური მუსიკის ქართულ ფესვად ასევე მიჩნეულია ფარული მრავალხმიანობა. იგი ვლინდება, როგორც კილოს დაბალი მეშვიდე საფეხურით, ისე დასაწყისში აღმავალი ნახტომური სვლით, რის შედეგადაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ შემსრულებელი მონაცვლეობით ორ ხმას მღერის.

საკვანძო სიტყვები: ლაზების ანტიქართველობა, გუდასტვირი, ქართული მრავალხმიანობა, მრავალხმიანობა.

თემა და მისი სათაური ქართველმა მკითხველმა, შესაძლოა თავიდან სასაცილოდ მიიჩნიოს და გაკვირვებულმა იკითხოს, კი მაგრამ ლაზები ხომ ისედაც ქართველები არიანო? ჩვენი საზოგადოებისთვის სამწუხაროდ უცნობია ის ფაქტი, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზების უმეტესობა თავს ქართველებად არ მიიჩნევს, რაშიდაც არაერთხელ დავრწმუნებულვარ 2014 წლის ექსპედიციების დროს თუ შემდეგ. მათ თავიანთი თავი თურქებზე უფრო ადრე მოსულ თურქებად (შეცდომა არ გეგონოთ), ან მხოლოდ ლაზებად წარმოუდგენიათ.

ანტიქართული იდეოლოგიის ამსახველი სტატიები თუ ცნობები, სამწუხაროდ, თურქულ პრესაში მეტად ხშირია. ამას ეძღვნება ქართველი ავტორების მიერ მომზადებული მონოგრაფია „ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში“. ლაზების არაქართველებად წარმოჩენას ემსახურება თურქეთში მოქმედი მთელი რიგი ლაზური ორგანიზაციები. მათ დეკლარაციაც გამოაქვეყნეს სათაურით: „თურქეთისა და საქართველოს ხალხს და მსოფლიო საზოგადოებას“, სადაც აღნიშნავენ, რომ „ლაზები ქართველი ერის ნაწილს არასოდეს წარმოადგენდნენ და არც ახლა არიან მისი ნაწილი.

ლაზები ქართველები (ქართველური) არ არიან. ლაზები ისტორიის დასაწყისიდანვე ლაზები არიან და სურთ ლაზებად დარჩენა. ლაზების ენობრივი, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა ვინმე პირის ან რაიმე ორგანიზაციის განხილვის საგანი არ შეიძლება იყოს. ამ საკითხს არ გააჩნია ექვემდებარება დაყენების საფუძველი!“ ეს დეკლარაცია სრულად გამოქვეყნებულია ბულზე

<https://www.change.org/p/t%C3%BCrkiye-ve-g%C3%BCrcistan-halklar%C4%B1na-%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%AE%E1%83%A1-deklarasyon-declaration-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-3>

სამწუხაროა, რომ ლაზების უმეტესობა არ ცნობს ქართულ ანბანს და იყენებს ფეხრი ქაპრამანისა (ლაზოდლე) და გერმანელი ვოლფგანგ ფორშტაინის მიერ ლათინურ ბაზაზე 1984 წელს შექმნილ „ე. წ. ლაზურ“ ანბანს. ყოველივე აქედან გამომდინარე ლაზურ კულტურას ქართული კულტურის ნაწილად არც თვლიან.

ორიოდე სიტყვა „ე. წ. პონტოელი ბერძნების“ შესახებ. მართალია არსებობს მოსაზრება მათი ბერძნული წარმომავლობის შესახებ მარინა კორომილა „ბერძნები შავ ზღვაზე (ბრინჯაოს ხანიდან XX საუკუნის დასაწყისამდე)“, მაგრამ მეორე და უფრო არგუმენტირებული მოსაზრების მიხედვით პონტიელი ბერძნები, ქრისტიანად დარჩენილი ტრაპიზონელი ლაზები არიან (ამის შესახებ ვრცლად იხილეთ ბაწაში, 2015; ანდრიაძე, 2012). მათი დიდი ნაწილი 1923 წელს საბერძნეთში იქნა გასახლებული. პონტოელი ბერძნების ლაზობას მათი მუსიკალური ფოლკლორიც ადასტურებს.

ლაზების ქართველობის საკითხი დაკავშირებულია ხემშილებთანაც. ხემშილები, ლაზეთის ტეროტორიაზე მცხოვრები მუსლიმანი სომხები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარები მათ პირად საუბრებში მუსლიმან სომხებად განიხილავენ წათე ბაწაში კი გასომხებულ ლაზებად (თუმცა არ უარყოფს მათ წრეში სომხების არსებობასაც (ბაწაში, 2015: 71)), ეს საკითხი დღემდე დაუმუშავებელია, თუმცა ორივე შემთხვევაში ხემშინები გუდასტვირზე ლაზურ მუსიკას უკრავენ <https://www.youtube.com/watch?v=Y-z8p4LrNdo>.

ლაზური სიმღერა, თურქულის გავლენით, ერთხმია. მართალია, დღეს სარფელები ორ და სამხმაზე მღერიან, მაგრამ მათი გამრავალხმობა იწყება 1970-იანი წლებიდან. რაც შეეხება საკრავიერ მუსიკას, აქ მრავალხმობის ორი ტიპი იკვეთება. ლაზურ გუდასტვირზე ჟღერს ქართული ბურდონული ორხმობა, თუმცა თვლების ტოლი რაოდენობის გამო (5/5) ეს ორხმობა ფრაგმენტულია. არის ორხმობის მეორე ტიპი რომელსაც სიმებიან-ხემიანი საკრავი ქამანჩა ქმნის. მასზე შესრულებული ჰანგებისთვის დამახასიათებელია კვარტების დადმავალი პარალელიზმი, რაც ქართული მუსიკისთვის ორგანული არ არის <https://www.youtube.com/watch?v=9SrUcmfQKlw>. ეს საკრავი საქართველოს სხვა კუთხეებში არც შეგხვედრია. უფრო მეტიც, ლაზეთშიც არ გხვდება როგორც საკრავის, ასევე მისი ნაწილების ლაზური სახელები. ამგვარად ვფიქრობ, რომ იგი ქართული საკრავი არ არის.



ლაზური სიმღერა ქამანჩის თანხლებით. 1968 წელს თურქეთში გამოცემული ფირფიტიდან. ნოტებზე გადაიტანა გიორგი კრავეიშვილმა.

ლაზური დესტანი (შესავალი)

ნოტებზე გადაიტანა გიორგი კრავეიშვილმა

Allegro (M.M. ♩ = c. 120)

ქ ა მ ა ნ ჩ ა

გავლენა იგრძნობა შესრულების მანერაშიც. ლაზეთში ხშირია სიმღერების დროს აღმოსავლური მელოზმების ჩართვა, ასევე გადიდებულსეკუნდებიანი მელოდიები, რომლებიც ქართულად ვერ ჟღერს.

ერთი სიტყვით, გავლენა ძალიან დიდია, მაგრამ ქართული კვალის გამოვლენა რათქმა უნდა დღესაც თავისუფლად შეიძლება. იგი იკვეთება არამარტო დასაკრავებში, არამედ ერთხმიან სიმღერებშიც კი. სიმღერაში აშკარაა ფარული ბანი, აღარაფერს ვამბობ გუდასტვირზე, რომელმაც ქამანჩისგან განსხვავებით ქართული მრავალხმიანობა დღემდე შემოინახა, თუმცა, საკრავების წარმოშობაზეც ანტიქართულად განწყობილ ლაზებს თავიანთი მოსაზრებები გააჩნიათ. მაგალითად ისმაილ ბუჯაკლიში წერს:

„ქემენჩესა და გუდასტვირის წარმოშობის საკითხი ბევრისთვის ინტერესის საგანია. მიუხედავად უამრავი განსხვავებული თვალსაზრისისა, შეუძლებელია რომელიმეს სარწმუნოდ მიჩნევა, რამეთუ ეს თვალსაზრისები ურთიერთსაწინააღდეგო და სუბიექტური ნაციონალური არგუმენტებით საზრდოობენ და მათი მეცნიერულობა ეჭვს ბადებს. გუდასტვირი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ანალოგიების სახით გვხვდება, მსგავსად შოტლანდიელების „gayda“-სა და ფრანგების „cornemuse“-სი. ნაციონალური თვალსაზრისი ამტკიცებს, რომ გუდასტვირი თურქული ხალხური საკრავია. ძნელია განსაზღვრა იმისა, თუ როდის და რა გზით შემოვიდა ანატოლიაში ფრანგული „fochette“ და ინგლისური „kit“ სახელწოდების სიმინი საკრავის მონათესავე შავიზღვისპირეთის ქემენჩე. ამასთანავე, საფუძველს არაა მოკლებული ამ ინსტრუმენტის ადგილობრივი წარმომავლობის შესაძლებლობაც“ (ბუჯაკლიში, 2015:525).

ავტორის მტკიცება, დამაჯერებლობასაა მოკლებული. იგი ყურადღებას არ აქცევს იმ ფაქტს, რომ შოტლანდიელების (ზოგადად ევროპელების) „gayda“ და ფრანგების „cornemuse“ ძალიან განსხვავდება ლაზური, და ზოგადად ქართული, გუდასტვირისგან <https://www.youtube.com/watch?v=IewlKabMiSA>. ავტორს არც სურს მუსიკალური ანალიზი გაუკეთოს სხვადასხვა ქვეყნების დასაკრავებსა და თუნდაც ლაზურ დასაკრავებს. ლაზეთში გავრცელებული გუდასტვირის თურქულ ხალხურ საკრავად გამოცხადება ხომ თავისთავად აფსურდია, მით უფრო, რომ მასზე შესრულებულმა ჰანგებმა ქართული მრავალხმიანობა დღემდე შეინარჩუნეს.

ლაზური საცეკვაო გუდასტვირზე (გუდა) ჩაწერილი 2014 წელს გიორგი კრავეიშვილისა და ნაზი მემიშიშის მიერ ფინდიკლის რაიონის სოფელ ფიცხალაში. ნოტებზე გადაიტანა გიორგი კრავეიშვილმა.

ლაზური ჰორონი გუდასტვირზე

ჩ ა მ წ ე რ ე ბ ი : გ ი ო რ გ ი კ რ ა ვ ე ი შ ვ ი ლ ი და ნ ა ზ ი მ ე მ ი შ ი შ ი

Moderato (♩ = c. 108)

გ უ დ ა

გავიმეორებ, რომ გუდასტვირი ერთადერთი საკრავია რომელმაც ქართული მრავალხმიანი მუსიკისთვის დამახასიათებელი ნორმები შემოინახა. საკრავის ლაზური სახელწოდებაა გუდა. მართალია დღეს მასზე ორივე მხარეს 5/5 თვალია ამოჭრილი, მაგრამ ძველ გუდასტვირზე თვლების რაოდენობა სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. ამას მაფიქრებინებს, როგორც აკორდეონზე დამკვრელი კლარჯი ემრულა ქესქინ ქურთის ცნობა, ისე პონტოელი ბერძნების (გაბერძნებული ლაზების) გუდასტვირი.

ემრულას მამა (ჰუსეინი) აკორდეონთან ერთად გუდასტვირზე (თურქულად თულუმ) უკრავდა - "თულუმს 5/5 თვალი ჰქონდა, მაგრამ ლაზური თუ გინდოდა ერთ თერეფში (ანუ ერთ მხარეს) 2-3 თვალს "გააგდებდნენ" ანუ გასანთლავდნენ". მისი ცნობა შეიძლება ორნაირად გავიგოთ: 1) თვლებს გასანთლავდნენ მაშინ, როდესაც გუდასტვირზე უკრავდნენ ლაზურს, ანდა 2) ლაზური გუდასტვირი იყო ასეთი. ერთი თერეფი ნიშნავს ერთ მხარეს, თუ თეორიულად დავუშვებდით იმას, რომ თვლების გასანთვლის შედეგად მივიღებდით 4/4-ს მაშინ შეიზღუდებოდა ლაზური მუსიკის დიაპაზონი, რაც არაბუნებრივია, რადგან ლაზური მელოდია (როგორც სიმღერის ისე საკრავზე შესასრულებელი) ისედაც მცირედიანაზონიანია (სექსტა-სეპტიმის ფარგლებში). შესაბამისად, ერთ მხარეზე თვლების ამოქოლვა ერთერთ სალამურზე ხდებოდა.

ემრულას მამა ლაზური ჰანგების დასაკრავად სანთლით თავად ამოქოლავდა თვლებს, თუ ლაზური გუდასტვირი მაშინ ისედაც "გასანთლული" იყო, ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, რომ ორივე შემთხვევაში ლაზური მუსიკის შესრულებისას ექვს არ იწვევს თვლების გასანთვლის ფაქტი. თუ ყურადღებაში მივიღებთ პონტოს ბერძნების, ანუ გაბერძნებული ლაზების გუდასტვირებს (5/5 გუდასტვირთან ერთად 1/5 და 3/5 გუდასტვირებს), და ამას დავუმატებთ იმასაც, რომ პონტოს ბერძნების დასაკრავში მრავალხმიანობა უფრო დომინირებს, ვიდრე დანარჩენ ლაზურ ნიმუშებში, აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ ძველი ლაზური გუდასტვირის თვლები უნდა ყოფილიყო ან 1/5, ან 3/5. როგორც ჩანს, მრავალხმიანობის დეგრადაციის დროს მოხდა გუდასტვირზე თვლების რაოდენობის გატოლება, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდებოდა თვლების ამოქოლვა, ანუ 5/5-იან გუდასტვირზე მიიღებოდა 3/5-ი რაოდენობა. თვლების ამოქოლვა იყო გარდამავალი პერიოდი 3/5-იდან 5/5-ზე გადასვლისა. თვლების დატოლებამ მრავალხმიანობის ხვედრითი წილის შემცირება გამოიწვია. გავიმეორებ, რომ 3/5 და 1/5 პროპორცია მხოლოდ პონტოს ბერძნულმა „ცაბოუნამ“ შემოინახა.



ცნობისთვის აღვნიშნავ, რომ თუ ქამანჩა საქართველოს სხვა კუთხეებში არ გხვდება, სამაგიეროდ გავრცელებულია გუდასტვირი. აჭარასა და შავშეთში მას "ჭიბონს",

ქართლსა და ფშავში „სტვირს“, ტაოსა და ზოგიერთი ცნობით კლარჯეთში „ტიკის“, მესხეთში კი „ტიკზარს“ ან „ჭიმუნს“ უწოდებენ. ტაო-კლარჯეთი, ისევე როგორც ლაზეთის დიდი ნაწილი დღეს თურქეთის შემადგენლობაში შედის და შესაბამისად თურქული მუსიკის გავლენას განიცდის. აჭარულისგან განსხვავებით თურქულის (სომხურთან ერთად) წამლეკავი გავლენა განიცადა მესხურმა მუსიკამაც, ამიტომაც, თუ გვინდა ლაზური მუსიკის ქართულ ფესვებში დავრწმუნდეთ ლაზური გუდასტვირი უპირველეს ყოვლისა აჭარულსა და რაჭულს, შემდგომ კი ქართლურსა და სხვა კუთხეებს უნდა შევუდაროთ. თვლების რაოდენობა აჭარულში 3/5. შავშურში 1/5 ან 3/5, ტაოურში 1/5, რაჭულში 3/6, ფშაურში 1/5 და მესხურში კი, თურქულის გავლენით 5/5-ია. აქედან გამომდინარე თვლების ტოლი რაოდენობა ქართული მუსიკისთვის დამახასიათებელი არ არის.

მართალია, იდეოლოგიური ზეგავლენის გამო ლაზები თავს არ თვლიან ქართველებად და შესაბამისად, საკუთარ კულტურას (მათ შორის მუსიკასაც) ქართულის ნაწილად არ მოიაზრებენ, თუმცა ლაზურ მუსიკაში ქართული კვალი ვიმეორებ დღემდე საკმაოდ აშკარაა. რა ვუყოთ გუდასტვირს, სადაც საერთოდ ქართული მრავალხმიანობა ჟღერს? რა ვუყოთ ლაზურ სიმღერებს, სადაც მიუხედავად ერთხმიანობისა, ფარული მრავალხმიანობის ელემენტების გამოვლენა არამარტო შესაძლებელი, არამედ საკმაოდ ხშირია? ფარული მრავალხმიანობა იქმნება უმეტესად მაშინ, როდესაც მელოდიაში ჩნდება სავარაუდო ბანი (ანუ კილოს მეშვიდე საფეხური). იგი ასევე იქმნება, როდესაც ყოველი ფრაზისა თუ სტროფის დასაწყისში აღმავალი ნახტომური სვლა გვაქვს (უმეტესად კვარტული ან კვინტური) რა დროსაც თითქოს ორი ხმის მონაცვლეობის შთაბეჭდილება იქმნება.

ფარული მრავალხმიანობის ორივე სახეობის თვალსაჩინო ნიმუშია სიმღერა სოფელ აბუზე. იგი ჩაწერილია 2014 წელს ნაზე მემიშიშის და გიორგი კრავეიშვილის მიერ ქალაქ ფინდიკლიში (ვიწე). ნოტებზე გადაიტანა გიორგი კრავეიშვილმა.

ს ი მ ღ ე რ ა ს ო ფ ე ლ ა ბ უ ზ ე

ჩ ა მ წ ე რ ე ბ ი გ ი ო რ გ ი კ რ ა ვ ე ი შ ვ ი ლ ი და ნ ა ზ ი მ ე მ ი შ ი შ ი

Moderato (♩ = c. 108)



რაც შეეხება ლაზურ სიმღერაში რეალური მრავალხმიანობის არსებობა-არარსებობის საკითხს:

მართალია, თურქეთში მცხოვრები ანტიქართულად განწყობილი ლაზები (კულტურის მოღვაწენი ხასან უზუნხასანოღლუ, ბიროლ თოფალოღლუ) პირად საუბრებში თავიანთ სიმღერებში მრავალხმიანობის ოდესღაც არსებობის ფაქტს უარყოფენ, თუმცა არსებობს ხოფელი ლაზის ყასიმ ბეჟანიძის ცნობა: “ძველად ხოფაში ორხმიანი სიმღერა მაქვს მოსმენილი... მეორე ხმა, დაბალი ხმა იყო, მას “მოტივი არ ჰქონდა, ერთ “ტონზე” იყო გაჩერებული” (ჩხიკვაძე 1980 : 38-39). ეს ცნობა 1900-1910-იანი წლების ვითარებას უნდა ასახავდეს, თუმცა კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილს გრიგოლ ჩხიკვაძესთან ერთად 1951 წელს საქართველოს საპატრიარქოში მოუსმენია ლაზური ორხმიანი

სიმღერები, ტუმცა პარალელური კვარტებისა და კვინტების არსებობის გამო ბატონ გრიგოლს ისინი მრავალხმიანად არ ჩაუთვლია. პატივცემულმა კომპოზიტორმა ეს პირველად 2011 წელს მიაგმო და 2016 წელსაც დამიდასტურა.

მაინც დაკვირვებას საჭიროებს ყასიმ ბეჟანიძის ცნობა, რომლის მიხედვითაც ბანი მხოლოდ ერთ ბგერაზე იყო აგებული, მაგრამ ზოგად-ქართული (და როგორც ჩანს – კონკრეტულად ლაზურიც) სიმღერის განვითარების დინამიკა ბანში გადაწყვეტისას უცილობლად მოითხოვს სეკუნდურ აღმასვლას. ასე რომ ბანში ერთის მაგიერ ორი ბგერა იქნებოდა. და ეს რომ თავის დროზე ასეც იყო, ამაზე ლაზურ მუსიკაში ქართული ყაიდის ფარული მრავალხმიანობის სიმრავლე მეტყველებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბეჟანიძე ბანში ორი ბგერიდან ძირითადად ერთ – გაბმულ ბგერაზე ამახვილებს, თუმცა შესაძლოა, ორივე ბგერას აფიქსირებდეს.

სტატიაში მოთავსებულია სამი სანოტო ნიმუში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდრიაძე, გ. *უცნობი ისტორიული საქართველო*. თბილისი: პალიტრა L. 2012).
2. ბუჯაკლიძე ი. ლაზური ხალხური ცეკვები - ჰორონები. (523-531). წიგნში: ახალაია ნ., ბაწაში წ., ლორთქიფანიძე გ., ლორთქიფანიძე ქ., მემიშიძე ო., ქავთარაძე ზ. ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. ჩუხუა მ. (რედ). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2015
3. ბაწაში წ. ლაზთა ეთნოგენეზისა და ისტორიისათვის. (27-51). წიგნში: ახალაია ნ., ბაწაში წ., ლორთქიფანიძე გ., ლორთქიფანიძე ქ., მემიშიძე ო., ქავთარაძე ზ. ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. ჩუხუა მ. (რედ). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2015.
4. კორომილა, მ. *ბერძნები შავ ზღვაზე: ბრინჯაოს ხანიდან XX საუკუნის დასაწყისამდე*. თბილისი: პროგრამა „ლოგოსი“. 2008.
5. ჩხიკვაძე, გ. ლაზეთი და თანამედროვე ლაზური სიმღერა - (ხელნაწერის უფლებით). წლიური სამეცნიერო შრომა. ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრა. ინახება თბილისის კონსერვატორიის ფოლკლორის ლაზურატორიის არქივში #2485. 1980.
6. Kraveishvili, G. Polyphony in the musical folklore of the Chveneburebi – The Georgians living abroad. (315-321). Tsursumia R., Jordania J. (editors). *The Seventh International Symposium on Traditional Polyphony*. Tbilisi: International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi Vano Sarajisvili State Conservatoire. 2015.

Article received: 2016-11-01